

სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ჩართულობა სწავლების
ხარისხის უზრუნველყოფაში - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მაგალითზე

ნინო ესებუა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიო გორგოძე, მოწვეული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვით.

ნინო ესებუა

06.07.2015

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში ორი დიდი სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევის ანგარიშს. კვლევის ფარგლებში განხორციელდა აღნიშნული უნივერსიტეტების სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ჩართულობის შესწავლა და ანალიზი საერთაშორისო გამოცდილებასთან მიმართებაში.

მონაცემთა შესაგროვებლად გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები: ჩაღრმავებული ინტერვიუები უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომლებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან, ფოკუს-ჯგუფები სტუდენტებთან. სამაგიდო კვლევის საშუალებით შესაძლებელი გახდა უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიული გეგმებიდან და სტუდენტების კმაყოფილების კვლევების ანგარიშებიდან მიღებული ინფორმაციის შედარება, როგორც ჩატარებული თვისებრივი კვლევის მონაცემებთან, ასევე წარმატებული საგანმანათლებლო სისტემების მქონე ბოლონიის წევრ ქვეყნებთან.

შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ამ ორ უნივერსიტეტში ბოლონიის დეკლარაციით გათვალისწინებული პროცესები, რომელიც უშუალოდ ეხება სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში ჩართულობას, ფორმალურად არის დაცული. მთელი რიგი აქტივობები მხოლოდ იმისთვის ხორციელდება, რომ უნივერსიტეტებმა დააკმაყოფილონ აკრედიტაციის სტანდარტები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის უმთავრეს ვალდებულებას – სწავლების ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებაზე ზრუნვას – პრაქტიკულად ერთპიროვნულად აწარმოებს.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: ხარისხის უზრუნველყოფა, სტუდენტების ჩართულობა, პროფესორ-მასწავლებლების ჩართულობა

Abstract

This document represents the research report conducted in two biggest Georgian universities – Ilia State University and Tbilisi State University. Within the research framework there was carried out the study of students and lecturers involvement in quality assurance processes in mentioned universities and the data was analyzed with regard to the international experience.

Qualitative research methods were used for data's collection: in-depth interviews of Quality Assurance employees and professors, also focus groups with students. Through the desk research it became possible to compare the received information about universities quality assurance strategic plans and universities students' research reports with this qualitative research datas, as well as with a successful education systems of Bologna member countries.

The analyze of results showed that Bologna declaration processes, which is directly related to students and other stakeholders involment in improving of teaching quality assurance processes, are formally protected in mentioned universities. Quite number of activities are carried out only for meeting accreditation standards of univesity. Quality assurance department practically produces its primary responsibility centrilized – to care about continious improvement of teaching quality.

Key words: Quality assurance, Students involvement, professors and teachers involvement